GÜRTİAD

ქართველ და თურქ ბიზნესმენთა ასოციაცია
GÜRCÜ VE TÜRK İŞADAMLARI DERNEĞİ

HAFTALIK EKONOMİ BÜLTENİ

კვირის ეკონომიკური გამოცემა

2019 / 6 – 13 Eylül / სექტემბერი

Nüfus / მოსახლეობა	GSYİH ($) / მშპ ($)	GSYH (büyüme) /მშპ	İşsizlik / უმუშევრობა	Enflasyon / ინფლაცია
3 723.5	4 345.5	4.7 %	12.7 %	4.9 %

Gürcistan Ekonomi Bakanın Amerika Ziyareti
საქართველოს ეკონომიკის მინისტრის ვიზიტი ამერიკაში

Gürcistan Ekonomi ve Sürdürülebilir Kalkınma Bakanı Bakanlık heyeti ile birlikte ABD'ye 2019 yili 12-14 Eylül tarihler arasında ziyaret gerçekleştiriyor. Ziyaret çerçevesinde Bakan havayolu pazarında önde gelen iki Amerikalı şirketi ile görüşmeler gerçekleştirecektir, görüşme konusu ise Gürcistan ve Amerika arasında direkt uçuşların başlamasıdır. Bahsi geçen şirketler "Delta Air Lines" ve "United airlines" tir. Sayın Bakan şirket temsilcilerine Gürcistan hakkında detayılı sunum yapacaktır. Ekonomi Bakanlığı tarafından yapılan araştırma, Gürcistan'dan Amerika Birleşik Devletleri'ne doğrudan uçuşların cazip olduğunu doğrulamıştır. Sayın Bakan, Gürcistan ve Amerika arasında direkt uçuşlarının başlatmasına bir yandan Amerika Birleşik Devletleri ile stratejik ortaklığı çerçevesinde atılacak olumlu bir siyasi adımı, öte yandan da şirketler için ticari açısından cazip olacağını belirtti.

ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი ნათია თურნავა სამინისტროს დელეგაციასთან ერთად აშშ-ში გაემგზავრა, სადაც ორ წამყვან ამერიკულ ავიაკომპანიასთან პირდაპირი ფრენების დაწყების შესახებ მოლაპარაკებებს გამართავს. ეკონომიკის მინისტრი მსოფლიოს უმსხვილესი კომპანიების - Delta Air Lines-ის და United airlines-ის წარმომადგენლებს შეხვდება და მათ საქართველოს შესახებ დეტალურ პრეზენტაციას წარუდგენს. ეკონომიკის სამინისტროს მიერ ჩატარებულმა დეტალურმა კვლევამ დაადასტურა, რომ პირდაპირი ფრენები საქართველოდან ამერიკის შეერთებულ შტატებში მიმზიდველია. ნათია თურნავას შეფასებით, პირდაპირი ფრენების დაწყება, ერთი მხრივ, იქნება ძალიან ნათელი, ცალსახა პოზიტიური პოლიტიკური ნაბიჯი აშშ-სთან სტრატეგიული პარტნიორობიდან გამომდინარე, ხოლო მეორე მხრივ, ეს იქნება კომერციულად მიმზიდველი კომპანიებისთვის.

Mamuka Khazaradze yeni halk (Kamu) hareketi "Lelo" kurdu
მამუკა ხაზარაძემ ახალი საზოგადოებრივი მოძრაობა „ლელო" დააფუძნა

თიბისი ბანკის დამფუძნებელმა და ამავე ბანკის ყოფილმა სამეთვალყურეო საბჭოს ხელმძღვანელმა ახალი საზოგადოებრივი მოძრაობა დააფუძნა. აღნიშნულთან დაკავშირებით პრეზენტაცია მან ანაკლიაში, მისივე პარტნიორ ბადრი ჯაფარიძესთან და მოძრაობის წევრებთან ერთად გამართა. მისი აღნიშვნით პოლიტიკური პარტიის დაფუძნებას ოქტომბრის თვეში აპირებს, რომელიც აუცილებლად მიიღებს მონაწილეობას 2020 წლის საპარლამენტო არჩევნებში.

TBC Bankanın kurucusu ve eski yönetim kurulu başkanı Sn. Mamuka Khazaradze "Lelo" isimli kamu hareketi kurdu. Hareketle ilgili sunum Sn. Mamuka Khazaradze ortağı Badri Japaridze ve hareket üyeleri ile birlikte Anaklia'da sunum yaptı. Sn. Khazaradze'nin anlattığına göre siyasi partisini Ekim ayında kuracaktır ve 2020 yılında gerçekleştirecek parlamento seçimlerine mutlaka katılacaktır.

Mukhiani İlçesinde Yeni Alışveriş ve Eğlence Kompleksi inşa Edilecek
მუხიანში ახალი სავაჭრო-გასართობი კომპლექსი აშენდება

Tiflis Belediye Başkanı Sn. Kakha Kaladze açıkladığına göre Mukhiani ilçesinde, eski Radyo Fabrikası Bölgesinde çevre bölgeleri için yeni bir çekim merkezi olacak bir proje başlatılacaktır. Eskide radyo fabrikasının yerleşim 45 000 m² alanını "Sanayi Şehri" isimli şirket 23 milyon GEL fiyatla açık arttırmada satın almıştır. Şirket sahibi İşadamı Temur Ugulava “Rooms Otel” “Stamba Otel” ve “Fabrika Otel”gibi ilginç iş yerlerinin sahibidir. Proje için hazırlanan konsepte göre Mukhiani’de inşa edilecek alışveriş ve eğlence kompleksinde yemek tesisleri, alışveriş alanları, gece kulübü, sinema, konser salonu, sergi alanları, spor salonu ve yüzme havuzu, rekreasyon bölgeleri, mini çocuk kenti, bilim müzesi, çalışma ve sanayi alanları yerleşecektir. Projeyi gerçekleştirilmesi için şirket tarafından dört yıl içinde 8 milyon dolarlık yatırım yapılması gerekmektedir. Projenin görselini aşağıdaki linke bulabilirsiniz. https://www.youtube.com/watch?time_continue=5&v=A6p1oaWNCSY

თბილისის მერის კახა კალაძის განცხადებით, მუხიანში, ყოფილი რადიოქარხნის ტერიტორიაზე ახალ პროექტს ჩაეყარა საფუძველი, რომელიც მიმდებარე რაიონებისთვის ახალი მიზიდულობის ცენტრი გახდება. 45 000 კვ.მ-მდე ტერიტორია, რომელზეც რადიოქარხანა იყო განთავსებული, აუქციონზე 23 მილიონ ლარად შეიძინა კომპანიამ - „ინდუსტრიული ქალაქი“, რომლის მფლობელიც ბიზნესმენი თემურ უგულავა გახლავთ. ბიზნესმენი ისეთ საინტერესო ბიზნეს ობიექტებს ფლობს, როგორებიცაა „რუმსი“ „სტამბა“ „ფაბრიკა“. ობიექტთან დაკავშირებით მომზადებული კონცეფციის მიხედვით მუხიანში უნდა მოეწყოს სავაჭრო-გასართობი კომპლექსი, სადაც განთავსებული იქნება კვების ობიექტები, სავაჭრო სივრცეები, ღამის კლუბი, კინოთეატრი, საკონცერტო, საგამოფენო, ფიტნეს და სხვა ტიპის სივრცეები, საცურაო აუზი, რეკრეაციული ზონები, მინი საბავშო ქალაქი, მეცნიერებათა მუზეუმი, სამუშაო-საწარმო სივრცე და ა.შ. პროექტის განსახორციელებლად კომპანიამ 8 მილიონი დოლარის ინვესტიცია 4 წლის განმავლობაში უნდა განახორციელოს. აღნიშნული პროექტის ვიზუალიზაცია მითითებულ ბმულზე შეგიძლიათ იხილოთ.

https://www.youtube.com/watch?time_continue=5&v=A6p1oaWNCSY

Gürcistan Havalimanlarında Yolcu Akışı Azaldı

საქართველოს აეროპორტებში მგზავრთა ნაკადი შემცირდა

Gürcistan Havaalanları Birliği tarafından yayınlanan bilgileriye göre, Ağustos ayında Gürcistan havaalanlarında yolcu trafiği beklenen %14 artış yerine %11 azaldı. 2019 yılı Ağustos ayında Gürcistan'ın her beş havalimanında 583 104 toplam yolcuya hizmet sunulmuştur. 2019 yılı Ocak ayından Ağustos ayına kadar, 8 aylık toplam verilerine göre, Gürcistan havalimanları 3.640.823 yolcuya hizmet sunmuştur ve bu rakam bir önceki yılın verilerine göre %8 artmıştır.

Gürcistan uluslararası havalimanlarından 2019 yılı Ağustos ay'nda yükseliş yalnızca Kutaisi havalimanında gözüküyor, çünkü Rusya'dan direkt uçuşlarının durdurulması bu havalimanını daha az etkilemiştir. Aşağıdaki listede dönem ve havalimanlarına göre yolcu akışı ile ilgili istatistikleri bulabilirsiniz.

Tiflis Uluslararası Havalimanı: 2019 yılı Ağustos: 397 045 yolcu (%14 azalma)
2019 yılı Ocak-Ağustos: 2 651 918 yolcu (%3 azalma)
Batum Uluslararası Havalimanı: 2019 yılı Ağustos: 96 474 (%20 azalma)
2019 yılı Ocak*Ağustos: (%5 büyüme)
Kutaisi Uluslararası Havalimanı: 2019 yılı Ağustos: (%22 büyüme)
2019 yılı Ocak*Ağustos (%41 büyüme)

საქართველოს აეროპორტების გაერთიანების მიერ გავრცელებული ინფორმაციის მიხედვით, აგვისტოს თვეში, საქართველოს აეროპორტებში, მგზავრთა ნაკადი მოსალოდნელი 14%-იანი ზრდის ნაცვლად, 11%-ით შემცირდა. 2019 წლის აგვისტოში საქართველოს ხუთივე აეროპორტი ჯამურად 583,104 მგზავრს მოემსახურა. 2019 წლის 8 თვის ჯამური მონაცემების მიხედვით, იანვრიდან აგვისტომდე საქართველოს აეროპორტები 3,640,823 მგზავრს მოემსახურა, რაც 8%-ით აღემატება გასული წლის მონაცემებს.

საერთაშორისო აეროპორტებიდან 2019 წლის აგვისტო მატებით მხოლოდ ქუთაისის აეროპორტმა დაასრულა, რადგანაც რუსეთიდან პირდაპირი ავიამიმოსვლის შეჩერებამ მასზე ნაკლები გავლენა მოახდინა. ქვემოთ მოცემულ სიაში აეროპორტებისა და დროის პერიოდების მიხედვით შეგიძლიათ იხილოთ მგზავრთა ნაკადის ზუსტი სტატისტიკა აეროპორტებისა და.

თბილისის საერთაშორისო აეროპორტი: 2019 წ. აგვისტო: 397 045 მგზავრი (კლება 14%).
2019 წ. იანვარ-აგვისტო: 2 651 918 (ზრდა 3%).
ბათუმის საერთაშორისო აეროპორტი: 2019 წ. აგვისტო: 96 474 (კლება 20%).
2019 წ. იანვარი-აგვისტო: 444 310 (ზრდა 5%).
ქუთაისის საერთაშორისო აეროპორტი: 2019 წ. აგვისტო: 88 138 (ზრდა 22%).
2019 წ. იანვარი-აგვისტო: 538 234 (ზრდა 41%).
მესტია-ამბროლაურის აეროპორტი: 2019 წ. იანვარ-აგვისტო: 6 361 (ზრდა 16%).

AK YIL ZEMIN ARKAS GEORGIA LLC DUTY FREE Georgia EM Ermed GEORGIA İŞBANK KOÇ KABLO LC WAIKIKI MAQRO CONSTRUCTION nurol ŞİŞECAM

Resmi Kur Göstergeleri / ოფიციალური გაცვლითი კურსი (13.09.2019)

USD/GEL – 2.9638 TRY/GEL – 0.5153 EUR/GEL – 3.2670 GBP/GEL – 3.6526

USD/GEL

23 – 30 Ağustos 2019

USD/TRY

23 – 30 Ağustos 2019

TRY/GEL

23 – 30 Ağustos 2019

Uluslararası Reyting საერთაშორისო რეიტინგი	
İş Yapma Kolaylığı ბიზნესის კეთების სიმარტივე	№ 6
İş Başlama Kolaylığı ბიზნესის დაწყების სიმარტივე	№ 2
Kredi Alma Kolaylığı სესხის აღების სიმარტივე	№ 12
Küçük Yatırımcıların Koruması მცირე ინვესტორთა დაცულობა	№ 2
İnşaat İzinleri İle Mücadele სამშენებლო ნებართვის სიმარტივე	№ 27
Ekonomik Özgürlük Endeksi ეკონომიკური თავისუფლების ინდ.	№ 16
Rekabet Edebilirlik Endeksi კონკურენტუნარიანობის ინდექსი	№ 66